community

The New Apostolic Church around the world

04/2021/GE

რა არის სინამდვილეში მნიშვნელოვანი

რედაქციისგან
ხსნისათვის მნიშვნელოვანი

ღვთისმსახურება
ჩვენ სულიწმიდა
წარგვმართვს

საეკლესიო მოძღვრება
კაცისა და ქალის
თანასწორობა (ნაწილი 2.)

New Apostolic Church
International

ხსნისათვის მნიშვნელოვანი

ფოტო: საერთაშორისო ახსე

გულითადი მოკითხვებით თქვენი

სინამდვილეში რა არის მნიშვნელოვანი? ეს კითხვა ხშირად ისმის ადამიანის ცხოვრებაში. რჩევა კი უმეტესად ასე ჟღერს: მოდით, არსებითზე ვიყოთ კონცენტრირებულნი!

იესოს მოწაფეებსაც უნდა შეეთვისებინათ ეს: მათ მიერ ნაუწყებ გზავნილს ადამიანთა გულებამდე რომ მიეღწია, არსებითზე უნდა ყოფილიყვნენ კონცენტრირებულნი. ხოლო სხვა დანარჩენზე - როგორიც არის, მაგ, იუდეველთა წარმოდგენები წინდაცვეთასთან და განწმედასთან დაკავშირებით - უარი უნდა ეთქვათ, ვინაიდან ეს არ იყო ხსნისათვის მნიშვნელოვანი.

იგივე ჩვენც გვეხება. იესო ქრისტეს მიერ ხსნის გზავნილი ჩვენც უნდა გავავრცელოთ დღეს - ყველა ადამიანს უნდა გადავცეთ იგი. ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ არსებითზე ვიქნებით კონცენტრირებულნი. ყველაფერი, რაც ჩვენს პიროვნებას, ისტორიას და კულტურას ეხება, არ არის მნიშვნელოვანი ხსნისათვის. თუ იესო ქრისტესეული ხსნის მოძღვრების გადაცემა გვინდა, ყოველივე ეს ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ. შესაძლებელია, რომ ამქვეყნიური ქცევის ნორმები შეიცვალოს, მაგრამ ხსნის გზავნილი უცვლელი დარჩება.

ჩვენს შვილებთან მიმართებაშიც იმის გაცნობიერებაა მთავარი, თუ რა არის ხსნისათვის ნამდვილად მნიშვნელოვანი. ხომ ვერ ვაიძულებთ შვილებს, იცხოვრონ ისე, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ?! ჩვენთვის მთავარია, მათაც ისევე განიცადონ ღმერთი, როგორც ჩვენ. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი!

გულითადი მოკითხვებით თქვენი



ჟან-ლუკ შნაიდერი

არაფრიდან ახლისკენ - ჩვენ სულიწმიდა წარგვმართავს

მიუხედავად კორონათი გამოწვეული პირობებისა ციურიხ-ზეებახის ეკლესია (შვეიცარია) სავსე იყო, ღვთისმსახურებაში მონაწილეობის მისაღებად, მსოფლიო მასშტაბით, ბევრმა მორწმუნემ ტელეფონი, იუთუბი და სხვა შესაძლებლობები გამოიყენა.

ფოტოები: ბერნჰარდ ჰოლდენრეთ

რომ. 8, 14

„რადგან ისინი, ვინც ღვთის სულით წარიმართებიან, ღვთის შვილები არიან.“

ჩემო საყვარელო ძმებო და დებო, მართალია, ორმოცდაათობის ამ დღესასწაულს უჩვეულოდ აღვნიშნავთ, მაგრამ ჩვენ მაინც დავიცვათ ჩვენი მშვენიერი და ძვირფასად ქცეული ტრადიცია და ღვთისმსახურება ბიბლიის კითხვით დავიწყოთ. მას თარჯიმანი წაგვიკითხავს.

კითხვა: იოელ. 3, 1. 2 და ეფეს. 3, 14-21:

„ამის შემდეგ მოვაფენ ჩემს სულს ყოველ ხორციელზე და გაქადაგდებიან თქვენი ვაჟები და ასულები; თქვენი უხუცესები ნახავენ სიზმრებს და ჭაბუკები ხილვებს იხილავენ. ყმებზე და მხევლებზეც მოვაფენ იმ დღეს ჩემს სულს.“

„ამისათვის ვიდრეკ მუხლს მამის წინაშე, ვის მიერაც იწოდება ყოველი მამობა ცაში და ქვეყანაზე, რომ მოგცეთ ძალა თავისი დიდების სიმდიდრით, თავისი სულით შინაგან კაცში განსამტკიცებლად. ქრისტეს

დასამკვიდრებლად რწმენით თქვენს გულებში, და იყოთ თქვენ ფესვგადგმულები და დაფუძნებულები სიყვარულში, რათა შეძლოთ ყველა წმიდასთან ერთად ჩაწვდეთ, რა არის განი და სიგრძე და სიმაღლე და სიღრმე, და შეიცნოთ ქრისტეს სიყვარული, ცოდნას რომ აღემატება, რათა აღივსოთ სრული ღვთიური სისავსით. ხოლო მას, ვისაც ჩვენში მოქმედი ძალით შეუძლია განუზომლად მეტის კეთება, ვიდრე ჩვენ ვთხოვთ ან ვფიქრობთ, მას დიდება ეკლესიაში, ქრისტე იესოში, ყველა თაობაში უკუნითი უკუნისამდე. ამინ.“

ჩემო საყვარელო ძმებო და დებო, როგორც უკვე ვახსენე, ორმოცდაათობის ვერც ამ დღესასწაულს ვიზეიმებთ ჩვეულ ფარგლებში. გასულ წელს ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ორმოცდაათობის დღესასწაულის ისევ ამგვარად აღნიშვნა მოგვიწევდა. ამ წლის განმავლობაში მთელ მსოფლიოში, ეკლესიასა და პირად ცხოვრებაში ბევრი ისეთი რამ მოხდა, რომლის ახსნაც ჩვენ არ ძალგვიძს. ჩვენ არ ვიყავით მზად ამისათვის; ეს სრულიად მოულოდნელად მოხდა და საკუთარ თავს ვეკითხებით, თუ რატომ დაუშვა ღმერთმა ყოველივე ეს. გულახდილად მინდა გითხრათ: ჩვენ ეს არ ვიცით, მე არ ვიცი, არავინ იცის. ღმერთის განგებას ჩვენ ვერ ჩავწვდებით. ამიტომაც უნდა მივენდოთ მას - და ასეც მოვიქცევით. რამეთუ ვიცნობთ ღმერთს და ვიცით, რომ ეს ის არის, „ვისაც ჩვენში მოქმედი ძალით შეუძლია განუზომლად მეტის კეთება, ვიდრე ჩვენ ვთხოვთ ან ვფიქრობთ“ (ეფეს. 3, 20) - როგორც ეს ბიბლიის კითხვისას მოვისმინეთ. ჩვენ გვწამს ამის და დარწმუნებულნი ვართ ამაში. მას ისეთი რამის კეთება ძალუძს, რაც ჩვენი გონების ფარგლებს სცილდება; მისთვის არ არსებობს ზღვარი.

მისი სიყვარული გაცილებით ძლიერია, ვიდრე ამის წარმოდგენა შეგვიძლია.

მისი სიყვარული გაცილებით ძლიერია, ვიდრე ამის წარმოდგენა შეგვიძლია. როგორც შემდეგ არის ნათქვამი, ამის განცდა „ჩვენში მოქმედი ძალით“ (ეფეს. 3, 20) არის შესაძლებელი. ღმერთი სიყვარულია. ის ჩვენს ხსნაზე მუშაობს და ჩვენში მოქმედებს. ორმოცდაათობაზე ღმერთი, სულიწმიდა, შთამბეჭდავად გამოცხადდა თავისი ძალით. მოწაფეებმა და ხალხის დიდმა რაოდენობამ ძლიერი ქარის ხმა გაიგონა და ცეცხლის ენები დაინახა. და უეცრად სხვადასხვა ენებზე ამეტყველდნენ ისინი. ეს დიდი ძალის ნიშნები იყო. შემდგომშიც, როცა ადამიანებმა სულიწმიდის მადლი მიიღეს, ამ მოვლენას თან ახლდა დიდი და ძლიერი ნიშნები (შევ. საქმე 2, 1-4). ნიშნები, რომლებიც ადამიანებისათვის იმის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო, რომ სულიწმიდა მათთან იყო და მოქმედებდა.

ეს შთამბეჭდავი ნიშნები მხოლოდ გარკვეული დროით გრძელდებოდა. სულიწმიდა უფრო და უფრო სხვაგვარ ზემოქმედებას ავლენდა; მან მათ სულებსა და გულებში დაიწყო მოქმედება, ვინც მონათლული და სულიწმიდით აღბეჭდილი იყო; იგი დღესაც ასე მოქმედებს ჩვენთვის და ჩვენში. სულიწმიდა ჩვენში ჩვენი სულის ხსნისათვის იღვწის. ამ ზემოქმედების შედეგების ხილვა ნაწილობრივ არის შესაძლებელი; თუ მას მისი მოქმდების გაშლის შესაძლებლობა მიეცემა, ჩვენი ქცევაც შეიცვლება. იმის გამო, რომ სულიწმიდა ეკლესიაში მოქმედებს, მორწმუნეთა ქცევაც იცვლება.

მისი მოქმედების მეორე ნაწილი უხილავია: სულიწმიდა გვასუფთავებს, განგვწმედს, გვაწკრიალებს. ამის დანახვა არ შეგვიძლია, მაგრამ შეგვიძლია მივენდოთ ღმერთს იმაში, რომ ის ძლიერად იმოქმედებს ჩვენში.

სულიწმიდას უნდა, რომ იხსნას ჩვენი სული. ბევრი ადამიანი, ვინც არ იცის, თუ როგორ მოექცეს ქრისტიანულ რწმენას, არ ეთანხმება ამ წარმოდგენას ხსნაზე; მაგ., ამბობენ: „თქვენ მხოლოდ თქვენი წევრების ეკლესიაში დარჩენა გინდათ. ეუბნებით, რომ ისინი უნდა გადარჩნენ და, რომ ამქვეყნად ცხოვრება საშინელებაა, მხოლოდ ტანჯვაა. ამის შემდეგ ადამიანები თქვენთან მოდიან, რათა ცრემლების ზღვას დააღწიონ თავი.“ სხვები კი ამბობენ: „თქვენ ხალხს უნერგავთ, რომ ცუდები არიან ისინი და იმდენად, რომ ღმერთი დასჯის მათ. ამ სასჯელისგან თავის დაღწევის ერთადერთი გზა კი მორწმუნეობაა.“ მაგრამ, საყვარელო ძმებო და დებო, ხსნა ჩვენ ნამდვილად არ გვესმის ასე; ჩვენ სულ სხვა ხსნისკენ ვილტვით. ქრისტეა ჩვენი მომავალი. ჩვენი ხსნა იესოს ხატად გარდაქმნაში მდგომარეობს. ჩვენ ისეთები გვინდა გავხდეთ, როგორიც ის არის; ეს არის ჩვენი მიზანი; ეს არის ის ხსნა, რომელსაც მოველით. იესო უცოდველი იყო, ის მშვიდობას ატარებდა გულით, ყველაფერს ძალადობის გარეშე უმკლავდებოდა. რაც არ უნდა მომხადარიყო, ყოველთვის აკონტროლებდა საკუთარ ბედს.

მას სრულყოფილი სიყვარული შეეძლო. ეს არის ჩვენი მიზანი. ჩვენ გვინდა, რომ იესოს ხატებას დავემსგავსოთ, რამეთუ სრულყოფილი სიყვარული შევძლოთ, ვაკონტროლოთ საკუთარი ბედი, ბოროტს ძალადობის გარეშე ვძლიოთ და სრული მშვიდობა ვიქონიოთ გულში.

გამოსყიდვა გაქცევა არ არის, ის სრულყოფას ნიშნავს! და სწორედ ამისთვის შრომობს სული. სულიწმიდა ჩვენში იმიტომ მოქმედებს, რომ ღვთის ხატად გადაგვაქციოს. ს უ ლ ი წ მ ი დ ა - ღ მ ე რ თ ი შემოქმედების სულია, ახალი ქმნილების შემოქმედების. წყლითა და სულით ნათლობის მეშვეობით მან სრულიად ახალი რამ შექმნა ჩვენში. ჩვენ ხელახლა დავიბადეთ და ახალ ქმნილებად ვიქეცით ქრისტეში - ეს კი სულიწმიდის დიდებული საქმეა.

გამოსყიდვა გაქცევა არ არის, ის სრულყოფას ნიშნავს!

სულიწმიდა ძალის სულიც არის. ის იმის ძალას გვანიჭებს, რომ იესოს ხატად ვიქცეთ. ამის შესაძლებლობა და უნარი აქვს ყველას, ვისაც სულიწმიდის მადლი მოეფინა. ეს არის იესოს ხატებად გარდაქმნის საწინდარი. აქ არანაირი ეჭვი არ არსებობს. სულიწმიდა ძალის სულია, მაგრამ ამ ძალას იგი დელიკატურად იყენებს; ის არაფერს გვაიძულებს, არამედ ჩვენი წარმართვა უნდა. ის გვეუბნება, თუ რა უნდა გავაკეთოთ და რა არა, თუმცა გადაწყვეტილების მიღება მარტო ჩვენზეა დამოკიდებული. სულიწმიდა ძალის სულია, მაგრამ დელიკატური ძალის. ის გვაძლევს მითითებებს, მიგვიძღვის და წარგვმართავს.

ეს სული მოძრაობის სულიც არის. მას უნდა, რომ წინ ვიაროთ; არც ამას გვაიძულებს იგი, არამედ მოტივაციას გვაძლევს. ის იესო ქრისტეს დიდებასა და ღვთიურ სიყვარულს გვიცხადებს, ღმერთთან თანაზიარების სურვილს გვიღვიძებს. ის გვიცხადებს, თუ როგორი მომავალი გველოდება და წინსვლისკენ გვიბიძგებს. ის ქრისტეს არსს გვიცხადებს; მოგვიწოდებს, რომ საკუთარ თავზე

გამოსყიდვა გაქცევა არ არის, ის სრულყოფას ნიშნავს!

ვიმუშაოთ და გვეუბნება: „შენ ამას შეძლებ! წინ იარე, იმოძრავე, ნუ გაჩერდები!“ სულიწმიდა მოძრაობის სულია.

შემოქმედების სული, ძალის სული, მოძრაობის სული: მიეცი ნება სულიწმიდას, გაგიძღვეს და წარგმართოს! მიჰყევ მის შთაგონებას! თუ გააკეთებ იმას, რასაც იგი გეუბნება, იესოსნაირი გახდები. ეს უეჭველად ასეა. ამას მისი ძალის მეოხებით შევძლებთ.

ვთქვი, რომ სულიწმიდა ახალი ქმნილების შემოქმედია; ეს ასპექტი უფრო დეტალურად მინდა განვიხილო. რას ნიშნავს, იყო შემოქმედი? სულიწმიდა ისეთ რამეებს ქმნის, რაც მანამდე არ არსებობდა. შემოქმედი რაღაც სრულიად ახალს ქმნის, რაც მანამდე უცნობი იყო - და მას ძალუძს, რომ ის არაფრისგან შექმნას. ღმერთმაც ასე შექმნა სამყარო - არაფრისგან. ეს ისეთი რამ არის, რასაც ვერ ჩავწვდებით; არაფრისგან რაღაცის შექმნა ადამიანებისათვის შეუძლებელია.

სულიწმიდა სრულიად ახალ რაღაცას ქმნის: ქრისტეს სასძლოს. ეკლესია მან დაარსა და მისი სრულყოფამდე მიყვანა სურს. ისინი, ვინც ღვთის სასუფეველში შევლენ, ქრისტესნაირები გახდებიან. თუ ამას ჩვენი ადამიანური თვალით შევხედავთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ჯერ კიდევ არ არის ასე. ხილული ეკლესია და მისი წევრები შორს არიან სრულყოფილებისგან. მაგრამ მიენდე სულიწმიდას, შემოქმედს, და ის ამას აღასრულებს; და თუ მას ჩვენი წარმართვის ნებას მივცემთ, ამ შემოქმედებაში ჩვენი რაღაც წვლილის შეტანასაც შევძლებთ. თუ ნამდვილად ვიქნებით სულიწმიდით წარმართულნი, არსებული განსხვავებების დაძლევასაც შევძლებთ; მაშინ მიტევებასა და შერიგებასაც შევძლებთ; მაშინ არა მარტო ძლიერების, არამედ სუსტების ინტეგრირებასაც შევძლებთ; მაშინ ერთმანეთის სიყვარულსა და ერთმანეთისთვის მსახურებასაც შევძლებთ. სულით ნუ დავეცემით იმის გამო, რომ დღეს ასე არ არის! ეკლესია სრულყოფისკენ მიდის და მერე ისე იქნება ყველაფერი, როგორც ქრისტეს უნდა. მიეც ნება სულიწმიდას, წარგმართოს და შენ შეძლებ, რომ შენი წვლილი შეიტანო შემოქმედებაში, იმ არაჩვეულებრივი ეკლესიის აღშენებაში, რომელიც ჩვენი უფლის ნებას შეესატყვისება. სულიწმიდას აქვს იმის ძალა, რომ ახალი შექმნას, ის, რაც უცნობი იყო მანამდე.

ბევრი რამ მოხდა ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში. ბევრი და-ძმა ვიცი, რომელთა ცხოვრებაც მთლიანად შეიცვალა. საყვარელი ადამიანი გარდაეცვალათ, მძიმედ დაავადდნენ, პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდა - ან უბრალოდ პანდემიის გამო. და ახლა

სრულიად ახალ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, რისთვისაც მზად არ იყვნენ. ბევრი უბრალოდ დაიბნა. არ იცის, როგორ მოიქცეს. მიენდე სულიწმიდის ძალას! და თუ სრულიად ახალი, სრულიად მოულოდნელი სიტუაცია შეიქმნება, ის კურთხევისა და ნუგეშის გზას გიჩვენებს. ის გამონახავს გზებსა და საშუალებებს იმისათვის, რომ გაკურთხოს, მშვიდობა და სიხარული მოგანიჭოს. ეს ახალი სიტუაცია ხელს ვერ შეუშლის მას შენს გადარჩენაში იმ მიზნით, რომ იესოს ხატს დაემსგავსო. მიენდე შემოქმედის ძალას, სულიწმიდას, ის აღასრულებს ამას.

ბევრი ისეთი და-ძმაც ვიცი, რომლებიც წუხან იმის გამო, რომ არაფერი იცვლება. მე ვფიქრობ ყველაზე, ვინც საკმაოდ მძიმე პირობებში ცხოვრობს. ისინი ძალადობისა და კრიმინალის ქვეშ ცხოვრობენ - ჩვენთვის, ევროპელებისათვის, სრულიად წარმოუდგენელ პირობებში. მათ ცვლილებები სწყურიათ - ცოტა მშვიდობა, ცოტაოდენი უსაფრთხოება -, მაგრამ არაფერი ხდება. ძმებო და დებო, კარგად მესმის თქვენი სიტუაცია! გითანაგრძნობთ. მაგრამ მინდა გირჩიოთ, რომ სულიწმიდის ძალას მიენდოთ. არსებული გარემოებები ვერ ზღუდავენ მის საქმიანობას. ისეთ საშინელ სიტუაციაშიც კი, როცა არაფერი იცვლება, მას შენი გადარჩენა შეუძლია. მას შეუძლია იმ გზაზე დაგაყენოს, რომელზეც გადარჩები, კურთხეული იქნები, მშვიდობასა და სიხარულს ეზიარები, თუნდაც უმძიმეს ვითარებაში. მიეც მას შენი შთაგონებისა და ნუგეშისცემის ნება.

მე იმ და-ძმებზეც ვფიქრობ, რომლებიც იმედოვნებენ, რომ ეკლესიაში არსებული ვითარება გაუმჯობესდება. მათი სურვილია, რომ ეკლესიის ნორმალური შენობა ჰქონდეთ, უბრალოდ ოთხი კედელი, სახურავი, შეიძლება რამოდენიმე გრძელი ხის სკამი და ტუალეტი. შეიძლება რამოდენიმე ინსტრუმენტზეც ოცნებობენ, რათა მუსიკა ისმოდეს. ისინი უკვე წლებია ელოდებიან ამას, მაგრამ არაფერი ხდება. ვიცი, კიდევ ათწლეულები დასჭირდება იმას, რომ ყველა ამ თემს ეკლესიის ასეთი უბრალო შენობა ჰქონდეს - თუ საერთოდ დადგება ეს საკითხი. ვიცი, რომ იმედგაცრუებულები ხართ. ვიცი, რომ გულგატეხილები და განაწყენებულებიც ხართ. გპირდებით, რომ ჩვენ, როგორც ეკლესია, ყველაფერს გავაკეთებთ ამისთვის. მაგრამ რეალისტები უნდა ვიყოთ. ამას ათწლეულები სჭირდება. გახსოვდეთ, რომ სულიწმიდის ზემოქმედება არ შემოიფარგლება იმით, რაც დღეს გვაქვს. ქრისტეს სასძლოს მომზადება მას ხის ქვეშაც შეუძლია. მისი ძალა იქაც იგივეა, რაც დიდ, ლამაზ შენობაში. მიეც სულიწმიდას შენი წარმართვის საშუალება; ის სიხარულს, მშვიდობასა და ხსნას მოგანიჭებს.

არის ასევე ქვეყნები, სადაც უჩვეულო, ახალ სიტუაციასთან გამკლავება გვიწევს. იქ ბევრი თემი გვყავს, თითქმის ყველა სოფელში, და ბევრი და-ძმა. ჩვენ გვეგონა, რომ ყოველთვის ასე იქნებოდა: გაიზრდებოდა ეკლესია და და-ძმათა რიცხვი, გვყოლებოდა ბევრი ბავშვი, რომლებსაც შემდეგ თვითონ ეყოლებოდათ შვილები. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ყველაფერი ასე წარიმართებოდა. თუმცა რეალობა სულ სხვაგვარად გამოიყურება. ნოსტალგიითა და მწუხარებით გავცქერით წარსულს: „გახსოვს, რამდენი თემი გვყავდა? გახსოვს, რა ბევრნი ვიყავით ახალგაზრდები?“ მინდა ვუთხრა ყველას, ვინც მძიმედ განიცდის ამ სიტუაციას, მღვდელმსახურებს, წინამძღვრებს, რომ ჩემთვის უცხო არ არის ეს აზრები, ეს ტკივილი. მოდით, სულიწმიდას ჩვენი შთაგონების საშუალება მივცეთ. ის მოტივაციას მოგვცემს საქმის გასაგრძელებლად. წარსულს ნუ გამოვეკიდებით! მიენდეთ შემოქმედს, ის ახალ გზას მოგვიმზადეს, რამეთუ გვაკურთხოს და სიხარული და მშვიდობა მოგვანიჭოს. მოდით, სულით ვიხელმძღანელოთ. ის სრულყოფს თავის საქმეს.

ისიც ვიცი, რომ ბევრი შეშინებულია, რადგან ჰგონია, რომ ჩვენი ეკლესია რევოლუციის წინაშე დგას და ამ იდეით შეპყრობილი ცუდად გრძნობს თავს. მაგრამ არანაირი საფრთხე არ არსებობს. მოდით, გავყვეთ სულიწმიდას, ის ახალს ქმნის, იმას, რაც მანამდე არ ყოფილა. გახსოვდეთ, სულიწმიდა ერთია მამასთან და ძესთან, ის თავის თავზე კი არ ლაპარაკობს, არამედ იესო ქრისტეს, ღვთის ძის, მოძღვრებას გვიხსნის. სულიწმიდა

თანაიქადაგეს სამხ. მოციქულმა მიხაელ დეპნერმა (მარცხ. დასავლეთ კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა) და სამხ. მოციქულმა ლეონარდ რ. კოლბმა (მარჯვ. აშშ)

ყოველთვის იესო ქრისტეს მიერ დადგენილ ჩარჩოებში მოქმედებს. ის სახარების, იესო ქრისტეს მოძღვრების, ფარგლებში მოქმედებს, ეკლესიის ფარგლებში მოქმედებს, რომელიც იესო ქრისტემ დაარსა თავისი საიდუმლოებითა და მოციქულობით. ის არ გააკეთებს იმას, რაც მხოლოდ მისი საქმეა, ვინაიდან სულიწმიდა ერთია მამასთან და ძესთან. მივცეთ ამ სულს ჩვენი წარმართვის უფლება. ეს სული ეკლესიას სრულყოფამდე და სრულ ერთობამდე მიიყვანს.

კიდევ ერთი და ბოლო მოსაზრება: ღვთის საქმის სრულყოფაში ჩვენი წვლილის შეტანა სახარების უწყებით შეგვიძლია. აქაც ძალგვიძს ისეთი რამის შექმნა, რაც მანამდე არ არსებულა. სულიწმიდის მიერ შთაგონებულნი არ ვართ იმაზე დამოკიდებულნი, რაც უკვე არსებობს. ხანდახან ვფიქრობთ, რომ იესოზე მხოლოდ ქრისტიანებს უნდა დაველაპარაკოთ. მაგრამ გაიხსენეთ პირველი ქრისტიანები: ისინი სახარებას წარმართებსა და იუდეველებს უქადაგებდნენ. ამ ადამიანებს სულ სხვაგვარად ესმოდათ ღმერთი, სიცოცხლე და ხსნა. თუ სულიწმიდით ვიქნებით შთაგონებულნი, ჩვენც შევძლებთ ამას. ჩვენ შევძლებთ ვაუწყოთ სახარება და იესოზე ვესაუბროთ იმ ადამიანებს, ვისაც საერთოდ არ სწამს ღმერთი, ვისაც განსხვავებული რწმენა აქვს, განსხვავებული რელიგია. არ შეიძლება უბრალოდ ვივარაუდოთ, რომ ისინი არ მიიღებენ ჩვენს მოწმობას მხოლოდ იმიტომ, რომ ქრისტიანები არ არიან. უბრალოდ მიეცი ნება სულიწმიდას, წარგმართოს! ზოგი მიიღებს ჩვენს მოწმობას, ზოგი არ მიიღებს; მაგრამ ეს ღმერთის საქმეა და არა ჩვენი. მოდით, გაბედულად მივყვეთ სულიწმიდის შთაგონებას და ყველას ვაუწყოთ სახარება. ეს არის ორმოცდაათობის ამ დღესასწაულის გზავნილი. ჩვენი მიზანია, დავემსგავსოთ იესო ქრისტეს ხატებას, რაც სულიწმიდის საქმეს წარმოადგენს; მას ჩვენი შეცვლა, ჩვენში მოქმედება სურს. ის შემოქმედების სულია, ძალის სულია, მოძრაობის სულია. მოდით, მივენდოთ და ჩვენი წარმართვის საშუალება მივცეთ მას. ის ყოველთვის გამონახავს გზას, რომ მშვიდობა, სიხარული და ხსნა მოგვიტანოს.

ძირითადი აზრები

- ღმერთი იმათ გადაარჩენს, ვინც სულიწმიდით ხელმძღვანელობს.
- სულიწმიდა იმედსა და სიმტკიცეს განაპირობებს.
- ის გვიბიძგებს, რომ ჩვენი და სხვების ხსნისათვის ვიმოქმედოთ.
- ის იმის აღშენების უნარს გვაძლევს, რაც ჯერ კიდევ არ არსებობს.

მოციქულ ვოლფგანგ შუგის ვიზიტი საქართველოში

ფოტო: საქართველოს ახ. ს. ე.

სამხ. მახარებელი რენე ფოლმანი
სულიწმიდით აღბეჭდვა ახმეტის თემში

მეორე წელია, რაც მთელ მსოფლიოში კოვიდ 19-ის პანდემია მძვინვარებს. ვირუსის გავრცელების კუთხით, არსებული მდგომარეობა საქართველოშიც მძიმეა. მისი გავრცელების დრო, მოქმედების არეალი, სიცოცხლისუნარიანობა, სიმპტომებიც კი ცვალებადობით ხასიათდება. პანდემიამ გამოიწვია ის, რომ მოულოდნელად გაჩერდა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრება. ზოგი მორწმუნე ამ მდგომარეობას ათ ეგვიპტურ ჭირსაც ადარებდა. შეიცვალა ეკლესიური ცხოვრების მრავალწლიანი ტრადიციული ფორმებიც. ეს საერთაშორისო ახალსამოციქულო ეკლესიასაც შეეხო, მათ შორის საქართველოშიც. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ საიდუმლოების მიღება სახიფათო შეიძლებოდა გამხდარიყო ჯანმრთელობისთვის. ჩვენ პირნათლად ვასრულებთ დაწესებულ რეგულაციებს, რათა თავიდან ავიცილოთ თემებში დაავადების გავრცელება.

„შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით, მთელი შენი ძალითა და მთელი შენი გონებით, და მოყვასი შენი, როგორც თავი შენი“ (ლუკ. 10, 33).

პანდემიის შედეგად შეწყდა მიმოსვლები, რის გამოც ვეღარც ჩვენთან ჩამოდიოდნენ გერმანელი ძმები. და აი, წელიწადნახევრის შემდეგ საქართველოს თემებს კვლავ ეწვივნენ მოციქული ვოლფგანგ შუგი და სამხ. ხუცესი იურგენ ფოლმანი. თბილისში ისინი 9 ივლისს, საღამოს ჩამოვიდნენ და მეორე დილით, შაბათს, სამხ. მახარებელ მიშა ხიზანიშვილთან ერთად კახეთისკენ აიღეს გეზი. კახეთის და-ძმებმა დიდი სიხარულით მიიღეს მონატრებული მოციქული და სამხ. ხუცესი. მოციქულმა ახალშენისა და ახმეტის თემებში იმსახურა ერთმორწმუნე და-ძმებისათვის. ღვთისმსახურების თემად მან ლუკას სახარებიდან აიღო სიტყვა (10, 33): „მერე ვიღაც სამარიელმა გამოიარა, დაინახა და შეიცოდა.“ ეს ციტატა გულმოწყალე სამარიელის კონტექსტს უკავშირდება. მოციქულმა ორი წინაპირობა დაასახელა, რომელიც საუკუნო სიცოცხლის დასამკვიდრებლად და ღვთის სასუფეველში უფალთან თანაზიარებაში მოსახვედრად არის აუცილებელი: პირველი, რომელსაც ხაზი ესმება იოანეს სახარებაში, არის ხელახლა შობა წყლისა და სულისგან („ვინც ხელახლად არ იშვება, ვერ იხილავს ღვთის სასუფეველს“) ანუ წმიდა წყლით ნათლობა და სულიწმიდით აღბეჭდვა, ხოლო მეორე, ლუკას სახარების მიხედვით, ღმერთისა და მოყვასის სიყვარულია. უფალმა იესომ კითხვას, თუ ვინ არის ჩვენი მოყვასი, გულმოწყალე

ბათუმის თემი
სულიწმიდით აღბეჭდვა ბათუმის თემში

სამარიელის იგავით უპასუხა. როგორც მოციქულმა აღნიშნა, მოყვასის სიყვარული ოჯახის წევრებისა და ახლობლების სიყვარულისგან განსხვავდება. მოყვასის სიყვარულში მტრის სიყვარულიც შედის, ასევე გაჭირვებულის სიყვარულიც, რომელსაც დახმარება სჭირდება. ამის განხორციელება არ არის იოლი, მაგრამ მორწმუნე უნდა შეეცადოს, მიბაძოს იესოს მაგალითს.

შაბათს, 10 ივლისს, გერმანიიდან საქართველოში ჩამოვიდა ასევე მახარებელი რენე ფოლმანი, რომელიც დაეხმარება მოციქულს საქართველოს თემებზე მზრუნველობაში. იგი კვირას, 11 ივლისს, თბილისში, ავლაბრის თემში ჩატარებულ ღვთისმსახურებას დაესწრო და მოციქულმა იგი თემს წარუდგინა. რენე ფოლმანი (დაბ. 18. 07. 1978 წ.) ახალსამოციქულო ოჯახში დაიბადა და ბავშვობიდანვე ეზიარა ახალსამოციქულო რწმენას. იგი უკვე 13 წელია მისი მშობლიური თემის წინამძღვარია. პროფესიით არის მენეჯერი, დაქორწინებულია და ჰყავს ორი შვილი: ბიჭი და გოგო, 14 და 11 წლის.

ოთხშაბათს, 14 ივლისს, მოციქულმა ვ. შუგმა ღვთისმსახურება ჩაატარა თბილისში, ავლაბრის თემში. ღვთისმსახურებაში მონაწილეობა მიიღო 42 მორწმუნემ. ღვთისმსახურების თემად მოციქულმა აიღო ციტატა მოსეს მესამე წიგნიდან „ლევიანები“ (6, 12): „და ცეცხლი სამსხვერპლოზე გიზგიზებდეს, არ ჩაქრეს.“ მოციქულმა აღნიშნა, რომ ცეცხლს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბიბლიაში. გაიხსენა ღვთის რჩეული ხალხის, ისრაელიანების, უდაბნოში ხეტიალი; მათ ღამით ღმერთი ცეცხლის სვეტში მიუძღოდა. „არანაკლები მნიშვნელობა აქვს ცეცხლს ახალ აღთქმაშიც“, განაცხადა მან. „ორმოცდაათობაზე ცეცხლის ენების სახით გადმოვიდა სულიწმიდა მოციქულებზე და მას მერე, რწმენის ეს ცეცხლი გიზგიზებდა მათ გულებში. ცეცხლს შეშა თუ არ შეუკეთე ჩაქრება, ასევეა რწმენის ცეცხლიც. თუ არ ვასაზრდოეთ იგი, ჩაქრება. რწმენის ცეცხლი ჩვენში სულიწმიდის მადლის მიღების შედეგად აგიზგიზდა და ის მუდამ უნდა გიზგიზებდეს.“

ღვთისმსახურება ღვთიური მადლით იყო გაჯერებული: მოციქულმა ერთმორწმუნე ძმა ლაშა სარიშვილი დიაკვნად აკურთხა და, ამდენად, ავლაბრის თემი კიდევ ერთი მღვდელმსახურით გამდიდრდა. ასევე ნიშნობასთან დაკავშირებული ლოცვა-კურთხევა მოჰფინა მან მღვდელ დონალდს და მის საცოლეს კლერს.

15 ივლისს, ხუთშაბათს, ავლაბრის თემში ძმების საათი ჩატარდა, მას მოციქული ვოლფგანგ შუგი გაუძღვა. ამ შეხვედრის მთავარ თემას სასულიერო და ოგანიზაციული საკითხები წარმოადგენდა. რაც შეეხება სასულიერო კუთხეს, მოციქულმა ფსალმუნებიდან აღებულ ციტატაზე (22, 4) გაამახვილა ყურადღება: „შავეთის ველზეც რომ ვიარო, ბოროტებისა არ მეშინია, რადგან შენა

ლაშა სარიშვილის დიაკვნად კურთხევა
მღვდელ დონალდისა და ერთმორწმუნე დის კლერის ნიშნობა

მარცხიდან: მღვდელი დონალდი, მისი საცოლე კლერი, დიაკვანი ლაშა და მოციქული ვ. შუგი

ხარ ჩემთან. მანუგეშებენ შენი კვერთხი და შენი საყრდენი.“ მოციქულმა აღნიშნა, რომ „კვერთხი და საყრდენი“ ღვთისათვის მღვდელმსახურები არიან. მათ ისევე უნდა დაიცვან ერთმორწმუნე და-ძმანი, როგორც მწყემსი იცავს ცხვრებს „კვერთხითა და საყრდენით“.

რაც შეეხება, ორგანიზაციულ საკითხს, სამხ. ხუცესმა ვ. ფოლმანმა ხაზი გაუსვა იმას, რომ პანდემიის პერიოდში ძმების საათის ზუმის მეშვეობით ჩატარების პრაქტიკა დამკვიდრდა და კარგი იქნება, თუ ეს პრაქტიკა კვლავაც გაგრძელდება და თვეში ერთხელ გერმანელ ძმებთან ერთად ძმების საათის ჩატარდება იქნება შესაძლებელი, რაზეც შეთანხმდნენ კიდეც.

ძმების საათის დასრულების შემდეგ ყველამ ერთად ივახშმა. მოციქულმა ამ ვახშამზე მღვდელმსახურთა მეუღლეები და პენსიაში მყოფი ძმებიც მიიპატიჟა.

17 და 18 ივლისს მოციქული ვ. შუგი და სამხ. ხუცესი ი. ფოლმანი ქართველ მღვდელმსახურებთან ერთად აჭარას ეწვია. შაბათს მან ფოთის თემი მოინახულა და ღვთისმსახურება ჩაატარა. მეორე დღეს, კვირას, კი ბათუმის ერთმორწმუნე და-ძმებისთვის იმსახურა. ორივე თემის მრევლი სიხარულით შეხვდა მონატრებულ მოციქულსა და სამხ. ხუცესს. ღვთისმსახურება მოციქულმა დაბადებიდან აღებული ციტატით დაიწყო (2. 15): „და აიყვანა უფალმა ღმერთმა ადამი და დასვა იგი ედემის ბაღში, რათა დაემუშავებინა და დაეცვა იგი.“ როგორც მოციქულმა აღნიშნა, აქ ხაზი აქვს გასმული იმას, რომ ადამიანს ღმერთმა გარკვეული მისია დააკისრა: შემოქმედების დაცვა და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მისი მოვლა-პატრონობა. ე. ი., ადამიანმა უნდა დაამუშაოს იგი და ნაყოფი მიიღოს. მიღებული ნაყოფი მისი ხორციელი სიცოცხლის შესანარჩუნებლად არის აუცილებელი, მაგრამ არსებობს უხილავი შემოქმედებაც, სადაც ასევე ნაყოფის გამოღებაა საჭირო, სულიერი ნაყოფის, როგორიცაა სიყვარული, მოთმინება, სიმშვიდე და ა. შ. აქედან გამომდინარე, ხორციელი და სულიერი სიცოცხლის განვითარებისა და დაცვისათვის შრომაა საჭირო.

ბათუმის თემში ღვთისმსახურების დროს მოციქულმა შვიდი მორწმუნე სულიწმიდით აღბეჭდა; ამდენად, ბათუმის თემი კიდევ შვიდი ღვთის შვილით გამდიდრდა.

კვირას საღამოს მოციქული და სამხ. ხუცესი თბილისში დაბრუნდნენ, მეორე დილით კი სამშობლოში გაემგზავრნენ.

აბრაამი ქალაქ სოდომს ავედრებს ღმერთს

დაბ. 18, 16-33-ის მიხედვით

სამი კაცი ესტუმრა სარას და აბრაამს მამრეში და აღუთქვა, რომ ძე შეეძინებოდათ, თუმცა ორივე უკვე საკმაოდ ხნიერი იყო. შემდეგ ეს კაცები სოდომისკენ გაუდგნენ გზას; აბრაამმა ისინი რაღაც მანძილზე გააცილა. სოდომში აბრაამის ძმისწული ლოტი და მისი ოჯახი ცხოვრობდა.

ღმერთს არ უნდოდა აბრაამისათვის დაემალა, თუ რას უპირებდა ქალაქ სოდომს, ვინაიდან მას ბევრი შთამომავალი უნდა ჰყოლოდა. მისი შვილები, შვილიშვილები და მათი შვილები დიდ და ძლიერ ხალხად უნდა ქცეულიყვნენ და ის ეკეთებინათ, რასაც ღმერთი ეტყოდა.

ღმერთმა უთხრა აბრაამს: „გამრავლდა ღაღადი სოდომსა და გომორაზე - ამბობენ, რომ იქ მცხოვრებნი ძალიან მძიმე ცოდვებს სჩადიან. მინდა გავარკვიო, ეს ბრალდებები სიმართლეს შეეფერება თუ არა და ისინი მართლა ამდენს სცოდავენ თუ არა.“

კაცებმა გზა გააგრძელეს; ისინი ანგელოზები იყვნენ. აბრაამი კი ღმერთის წინაშე შეჩერდა და ჰკითხა მას: „ნუთუ კეთილებსაც ბოროტებთან ერთად დაღუპავ? ნუთუ მართლებსაც, რომელნიც ასრულებენ შენს ნებას, უკეთურებთან ერთად დახოცავ? იქნებ 50 მართალი მაინც არის ამ ქალაქში; ისინიც უნდა დაიღუპონ? ასე ხომ არ შეიძლება! ნუთუ არ დაინდობ ქალაქს თუნდაც ამ 50 მართლისათვის? განა ქვეყნიერების მსაჯულმა სამართალი არ უნდა გააჩინოს?“

ღმერთმა მიუგო: „თუ სოდომში 50 მართალს ვიპოვი, მთელ ქალაქს შევუნდობ მათ გამო.“
აბრაამი არ მოეშვა შეკითხვებს: „მე, მტვერი და ნაცარი, ვბედავ ღმერთთან ლაპარაკს ... 50 მართალს ხუთი რომ დააკლდეს, ნუთუ ამ ხუთის გამო მთელ ქალაქს დაღუპავ?“
ღმერთმა უპასუხა: „თუ 45 მართალს ვპოვებ სოდომში, დავინდობ ქალაქს.“
აბრაამმა გააგრძელა: „და თუ მარტო 40 მართალი იქნება?“
ღმერთმა მიუგო: „მაშინ ამ ორმოცისთვის დავინდობ ქალაქს.“
აბრაამმა უთხრა: „ნუ განრისხდები, ამდენს რომ ვლაპარაკობ. რა მოხდება, თუ მხოლოდ 30 მართალი იქნება სოდომში?“
ღმერთმა უპასუხა: „თუ 30-ს ვპოვებ, არაფერს დავუშავებ მათ.“
აბრაამმა ჰკითხა: „და მხოლოდ 20 რომ იყოს?“
ღმერთმა უპასუხა: „ამ ოცის გამოც დავინდობ მათ“.
„უფალო, ნუ განმირისხდები“, შეევედრა აბრაამი, „და მხოლოდ ათი რომ იყოს?“
ღმერთმა უპასუხა: „ათის გამოც დავინდობ სოდომს.“
ამის შემდეგ ღმერთი წავიდა, აბრაამი კი მამრეში დაბრუნდა.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 04/2021; ილუსტრაციები: მირელა ფორტუნატი

სტუმრად ტაბითასთან თემაში (განა)

ეს ჩემი თემია. ჩვენ ერთი დიდი ოჯახივით ვართ: ყოველთვის თავაზიანები ერთმანეთის მიმართ და მზადმყოფნი გაჭირვებულის დასახმარებლად. ცოტა ხნის წინ ახალი და ლამაზი ეკლესიის შენობა მივიღეთ.

მე მქვია ტაბითა, ვარ 12 წლის გოგონა და მეექვსე კლასში დავდივარ. როცა გავიზრდები, ექიმი მინდა გამოვიდე, რათა სიცოცხლის გადარჩენა შევძლო. ჩემს ოჯახთან ერთად განაში ვცხოვრობ, უფრო სწორად, თემაში.

თემა დიდი ქალაქია, რომელიც დედაქალაქ აკრასთან მდებარეობს. იგი ძირითადად მისი ნავსადგურით არის ცნობილი, საიდანაც კაკაო და სხვა საქონელი მთელ მსოფლიოში გადის გემებით. გიჭამიათ ალბათ განას კაკაოსგან დამზადებული შოკოლადი.

კაკაოს ხეების გარდა განაში იზრდება ასევე ჩაის ბუჩქები, ყავის ხეები და მრავალწლიანი ბანანების ერთ-ერთი ჯიში პლანეტა. თქვენთვის ცნობილი ბანანებისგან განსხვავებით ბანანის ეს ჯიში ტკბილი არ არის. ჩვენ მას უფრო შემწვარს მივირთმევთ, როგორც სნეკს ან გარნირს და ჩვენში მას კელეველეს ეძახიან. ჩვენ, განაელებს, გვიყვარს ცხარე საჭმელები და პლანეტებს (ბანანებს) ჯანჯაფილით, ჩილითა და კაიენის წიწაკით ვკაზმავთ.

გასული წელი უმეტესად ბებია-ბაბუასთან გავატარე. იქ რამოდენიმე ჩემი ბიძაშვილიც ცხოვრობს. მე დედისერთა ვარ და ამიტომ მათთან ერთად ყოფნა მიყვარს. აქ ჩემს საყვარელ ბიძაშვილ ვივიენთან ერთად მხედავთ.

ძალიან მომწონს, როცა ყველა ერთად მივდივართ ეკლესიაში. უმცროსები ბაბუასთან ერთად მანქანით მიდიან, ჩვენ კი, უფროსები, ფეხით მივდივართ. ჩვენ ეკლესიის მახლობლად ვცხოვრობთ. ადრე ბაბუაჩემი სამხარეო ხუცესი იყო, მამაჩემი მღვდლად მსახურობს. ზოგი ჩემი ნათესავი გუნდში გალობს.

არც ისე დიდი ხანია, რაც კონფირმანდების გაკვეთილებზე დავდივარ. ეს ფოტო მაშინ არის გადაღებული, როცა საკვირაო სკოლაში დავდიოდი. აქ საკვირაო სკოლის მოწაფეებსა და ჩვენს მოციქულ ბენიამინ ოენე-საფოს ხედავთ. შეგიძლიათ ამომიცნოთ?

მიყვარს სიმღერა. საბავშვო გუნდში ვისწავლეთ საგალობელი „Amazing Grace“ (ქართულად: საოცარი მადლი). მასწავლებლებმა ტექსტი აგვიხსნეს და ძალიან ავღელდი, როცა მისი შესრულების უფლება მომცეს კონფირმანდებისათვის ღვთისმსახურებაზე, რომელიც ოსუში ჩატარდა.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 04/2021; ფოტოები: პირადი; wikipedia.org; ©harvepino / © Birgit / ©Brent Hofacker/ ©AlexZel; ©fanfan30 - stock.adobe.com

კაცისა და ქალის თანასწორობა (ნაწილი 2.)

სამხ. მოციქულთა კრებაზე მიღებული სახელმძღვანელო წერილი განმარტავს და ავსებს კატეხიზმოში მოცემულ ფორმულირებებს ადამიანის ღვთისხატობასთან დაკავშირებით კაცისა და ქალის თანასწორობასთან მიმართებაში. მას შემდეგ, რაც კომუნიტის მესამე ნომერში (2021 წ.) შესაქმეს შესახებ ორივე ცნობაში მოცემული ბიბლიური საფუძვლები გაშუქდა, მეორე ნაწილი მოძღვრებით დასკვნებს განმარტავს.

რაც შეეხება შესაქმეს შესახებ პირველ ცნობას, შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ არა მხოლოდ ადამიანის ორსქესიანობა ძევს ღვთის ნებაში, არამედ კაცისა და ქალის თანასწორობაც. ორივე სქესი ერთად აღებული ღვთის ხატია, ერთი და იგივე ღირსებით დაჯილდოვებული. ქალის მამაკაცისადმი დაქვემდებარება დაბ. 1-ის მიხედვით უნდა აღინიშნოს როგორც შემოქმედების საწინააღმდეგო, როგორც ღვთისათვის არასასურველი; ის არ წარმოადგენს ღვთიური შემოქმედების კეთილ ნაწილს.

ქალის მამაკაცისადმი დაქვემდებარება არც შესაქმეს შესახებ მეორე ცნობაშია მოცემული. დაბ. 2-ის მიხედვით ადამიანი თავიდან მარტოა და გენდერულად განუყოფელი. მას „შემწე“ აკლია, მისი მსგავსი. ამის საფუძველზე შეუქმნა ღმერთმა მას მსგავსი ღირსებისა და მისი თანასწორი „შემწე“, რათა მარტო არ ყოფილიყო. კაცი და ქალი ერთმანეთისთვის შეიქმნენ, იმისათვის, რომ მხარში ამოუდგნენ ერთურთს და ისე იმოქმედონ, რომ მეორემ კარგი და ღვთისათვის მოსაწონი ცხოვრება შეძლოს.

შენიშვნები ცოდვით დაცემასთან მიმართებაში

საეკლესიო ტრადიციის მიხედვით, ავგუსტინედან მოყოლებული, დაბ. 3 იკითხება როგორც ცოდვით დაცემისა და მემკვიდრეობითი ცოდვის წარმოშობის (peccator originale = თავდაპირველი ცოდვა) ისტორია. ამასთანავე, ქალი, რომელიც გველმა საუბარში ჩაითრია, მიჩნეულია როგორც ადვილად შესაცდენი და ცოდვისკენ მიდრეკილი არსება. ასეთი შეხედულება ქალზე ჯერ კიდევ ადრეულ იუდაიზმში გვხვდება, ასევე 1. ტიმ. 2, 14-ში: „ადამი კი არ შემცდარა, არამედ დედაკაცი შეცდა და დანაშაული ჩაიდინა.“ აქ ადამს, შეიძლება ითქვას, ამართლებენ, ხოლო დანაშაულს ღვთის მცნების დარღვევისათვის ქალში ეძებენ. თუმცა რომ. 5, 12-ში პავლე სულ სხვა რამეს ამბობს, ის ლაპარაკობს ადამიანზე, რომელმაც შესცოდა: „იმიტომ, როგორც ერთი ადამიანის მიერ ცოდვა შემოვიდა სოფელში, ხოლო ცოდვის მიერ - სიკვდილი, ასევე სიკვდილი გადავიდა ყველა ადამიანში, რადგან ყველამ შესცოდა.“ ამ „ადამიანს“ კაციც და ქალიც ერთნაირად მიეკუთვნება. ორივე, ადამიც და ევაც, პასუხისმგებელია ღმერთთან დაშორების გამო და ორივე უნდა დაისაჯოს ამისთვის.

ჩვენს კატეხიზმოშიც შესაბამისად ლაპარაკია ზოგადად ადამიანზე და არ ხდება გენდერული განსხვავება, როცა საქმე ცოდვით დაცემას ეხება. ეს ის ადამიანია, პროტოტიპი ყოველივე ადამიანურის, რომელსაც გველი გამოელაპარაკა და არასწორ გზაზე დააყენა: „ბოროტის გავლენით ადამიანი ცოდვაში ვარდება და ემორჩილება მას ისე, რომ ღვთისგან ნაბოძებ მცნებას არღვევს: ცოდვა ადამიანის ყოფიერებაში იჭრება; ღმერთთან დაშორება, სულიერი სიკვდილი, სწორედ ამას უკავშირდება. ადამიანისათვის ეს ცხადი მისი სიშიშვლის აღქმაში გახდა, რის გამოც შერცხვა მას (დაბ. 3, 7-10). სირცხვილი იმის ნიშანია, რომ თავდაპირველი ნდობა ადამიანისა მისი შემოქმედის მიმართ შეირყა. ადამიანის ურჩობა იქამდე მივიდა, რომ ღმერთმა ის მასთან არსებული თანაზიარებიდან გარიცხა“ (კატ. 3. 3. 3).

ღვთის სრულყოფილი ხატი

კატ. 3. 3. 2-ში არა მხოლოდ კაცსა და ქალზეა ლაპარაკი, არამედ იესო ქრისტეზეც, როგორც ღვთის ხატზე: „გარდა ამისა, ადამიანის ღვთისხატობა იმაზეც მიუთითებს, რომ ღმერთი იესო ქრისტეში განკაცდა, ‘ვინც არის ხატი უხილავი ღვთისა’ (კოლ. 1, 15). იესო ქრისტე მეორე ‘ადამია’ (1. კორ. 15, 45. 47), რომელშიც ღვთისხატობის დანახვა სრულყოფილად არის შესაძლებელი. ის, რომ ადამიანი ღვთის ხატად შეიქმნა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ღვთის არსზე მსჯელობა

ადამიანის პიროვნებიდან გამომდინარე შეიძლება - გამონაკლისი მხოლოდ იესო ქრისტეა.“ მაშასადამე, ქრისტიანებისათვის ქრისტე, როგორც ღვთის ხატი, იმის საზომია, თუ როგორ და რანაირად უნდა განახორციელონ მათ საკუთარი ღვთისხატობა.

რომ. 5, 12-19-ში ადამი და ქრისტე ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ფიგურაა: იმ დროს, როდესაც ადამი ცოდვას, სასჯელსა და სიკვდილს განასახიერებს, ქრისტე სიმართლის, წყალობისა და სიცოცხლის სიმბოლოა. თუმცა ადამი მაინც მოხსენიებულია როგორც „მომავლის ხატი“ (რომ. 5, 14). ადამი, ადამიანი საერთოდ, მისი ცოდვილიანობის მიუხედავად, ქრისტეზე მიუთითებს, ე. ი., მასზე, ვინც სრულყოფილად წარმოადგენს ღვთიურ სიცოცხლეს.

გარდა ამისა - და ეს ძალიან მნიშვნელოვანია წარმოდგენილი მსჯელობის წარმართვისათვის - 1. კორ. 15-ში ახსნილია „ღვთის ხატის“ ესქატოლოგიურ-ფუტურისტული მნიშვნელობა. იესო ქრისტე, „ახალი ადამი“, მკვდრეთით აღმდგართა შორის პირმშოა. მკვდართა აღდგომა მასში მდგომარეობს და მათთვის, ვისაც სწამს მისი, სარწმუნა ეს. იმ დროს, როდესაც ადამი მიწისგან არის და კვდება, უკანასკნელი ადამი, იესო ქრისტე, ზეციერი და სიცოცხლის მომნიჭებელია. ამასთან დაკავშირებით მათიას კონრადი შენიშნავს: „პრინციპში, როგორც მიწიერი ადამიანები „აღინიშნებიან“ადამის წარმავლობით, ასევე ისინი, ვინც ქრისტეს ეკუთვნის, ამაღლებული ქრისტეს არსს ეზიარებიან.“ მკვდრეთით აღმდგარნი სულიერ სხეულს მიიღებენ, რომელიც მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს შესაფერისი იქნება და, ამდენად, არსებობის ის ფორმა მიენიჭებათ, რომელიც ღმერთთან სრული თანაზიარების უფლებას მისცემს მათ. მკვდრეთით აღმდგარნი ზეციური ადამიანის ხატის მატარებლები იქნებიან ანუ ქრისტეს ხატის, და ამგვარად ღვთის სრულყოფილ ხატად იქცევიან. ეს აზრი, შეიძლება ითქვას, ფილიპ. 3, 20. 21-შიც პოულობს თავის ნორმატიულ გამოხატულებას: „რადგან ჩვენი მოქალაქეობა ზეცაშია, საიდანაც ველით მაცხოვარს, უფალ იესო ქრისტეს, რომელიც ჩვენს დამდაბლებულ სხეულს გარდაქმნის თავისი დიდების სხეულის შესაფერისად, ძალისხმევით, რაც შეაძლებინებს მას ყოველივე დაიმორჩილოს.“

მოძღვრებითი დასკვნები

ბიბლიურ მოწმობებზე დაყრდნობითკაცი და ქალი, ქალი და კაცი ერთნაირად წარმოადგენს ღვთის ხატს. მარტინა ბერი სამართლიანად შენიშნავს, რომ დაბ. 1 „ფუნდამენტურად უზრუნველყოფს კაცისა და ქალის თანასწორობას შემოქმედების კუთხით.“ როცა კატეხიზმო კაცისა და ქალის „განსხვავებაზე“ ლაპარაკობს, აქ განსხვავებული ბიოლოგიური აგებულება, მათი განსხვავებული სქესი იგულისხმება და არა უთანასწორობა, რომელიც მთლიანად პიროვნებას ეხება. „ადამიანად ყოფნა ნიშნავს ინტელექტუალური უნარებისა და ნიჭების მქონე კონკრეტული სქესის სუბიექტად და ინდივიდად ყოფნას, რომელიც ფლობს თავისუფლებასა და ენას, შეუძლია მოქმედება, აქვს საკუთარი ისტორია, აქვს ურთიერთობები ცხოვრებაში და შეუძლია სიყვარული.“ მაშასადამე, კაცი და ქალი იდენტური ღირსების მქონე, თუმცა ბიოლოგიურად განსხვავებული პარტნიორები არიან. როცა ადამიანზე, როგორც „ღვთის ხატზე“, ვსაუბრობთ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავუთანაბროთ ერთმანეთს ღმერთსა და ადამიანს შორის არსებული უსასრულო თვისებრივი სხვაობა. კატეხიზმო ერთმნიშვნელოვნად საუბრობს იმაზე, რომ შეუძლებელია ადამიანიდან გამომდინარე ვიმსჯელოთ ღმერთის არსზე: „ის, რომ ადამიანი ღვთის ხატად შეიქმნა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ღვთის არსზე მსჯელობა ადამიანის პიროვნებიდან გამომდინარე შეიძლება - გამონაკლისი მხოლოდ იესო ქრისტეა“ (კატ. 3. 3. 2). საუბარი ადამიანზე, როგორც ღვთის ხატზე, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ეს ღმერთის თვალსაზრისით კეთდება. ადამიანის, როგორც ღვთის ხატის, შეცნობა და გაგება მხოლოდ ღმერთთან მიმართებაში ხდება, რომელიც ცხადდება და ლაპარაკობს. ღმერთის თვითგამოცხადება ადამიანის, მისი შექმნის, მისი არსისა და დავალების სათანადო გაგების წინაპირობაა სამყაროში. ადამიანზე, როგორც ღვთის ხატზე, ლაპარაკს მაშინ აქვს აზრი, თუ ის გაგებული იქნება, ერთი მხრივ, როგორც სრულად ორიენტირებული ღმერთზე, და მეორე მხრივ, როგორც ღვთიური მადლი და დავალება. ადამიანის ღვთისხატობა ყოველთვის ღმერთზე მიუთითებს, როგორც ადამიანის პირველ და აბსოლუტურად მოსიყვარულე „მსგავსზე“. შესაბამისად კატეხიზმოში ნათქვამია: „ღმერთი ადამიანს შემოქმედის შეცნობის, მისი სიყვარულისა და ქება-დიდების უნარს აძლევს. ამდენად, ადამიანი ღმერთზეა ორიენტირებული [...]“ (კატ. 3. 3. 2).

ადამიანზე, როგორც ღვთის ხატზე, მსჯელობის რამოდენიმე ასპექტი ქვემოთ იქნება განხილული.

„ღვთის ხატი“ - რეალიზება ისტორიაში

კაცისა და ქალის ღვთისხატობის რეალიზება პრეისტორიულ პერიოდში, საერო ისტორიასა და ისტორიის ესქატოლოგიურ მიზანთან მიმართებაში სხვადასხვაგვარად ხდება.

- ადამიანი, უპ. ყოვლისა, მთელი შემოქმედების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რაც დაბადება 1-2, 3-შია ნაჩვენები. ეს არის შემოქმედება ცოდვით დაცემამდე, რომელზედაც ნათქვამია:

„და იხილა ღმერთმა ყოველივე, რაც შექმნა, და ძალზე კარგი იყო“ (დაბ. 1, 31). ამდენად, ადამიანი მის პირვანდელ მდგომარეობაში ნამდვილი და შეუბღალავი ღვთის ხატი იყო.

- ადამიანს, როგორც დაცემული შემოქმედების ნაწილს, ე.ი., ცოდვით დაცემის შემდეგ, აღარ შესწევს უნარი, სრულყოფილად გამოვლინდეს როგორც ღვთის ხატი. ადამიანი სტრუქტურული არასრულყოფილებით ხასიათდება, რაც ბოროტებაში, ცოდვასა და დესტრუქციაში ვლინდება. ეს ხელს უშლის მას იმაში, რომ მისი ღვთისხატობა ყველა ასპექტში გაამართლოს და განახორციელოს. კაცობრიობის ისტორიის კონტექსტში, ყველა მისი მარცხითა და შეცდომებით, ადამიანის ღვთისხატობა მიუღწეველ იდეალად მოჩანს.

- საკრამენტალური და იესო ქრისტესთან სარწმუნოებრივი კავშირის მეშვეობით ადამიანი ესქატოლოგიურ არსებობას ეწევა, კერძოდ, ცხოვრებას, რომელიც ორიენტირებულია ქრისტეს მეორედ მოსვლასა და ახალ შემოქმედებაზე. ის იმისკენ ილტვის, რომ სულ უფრო მეტად დაემსგავსოს იესო ქრისტეს, რომელიც ღვთის სრულყოფილი ხატია. აღდგომის სხეულთან ერთად ღვთისხატობის სრული რეალიზება მოხდება - ჯერ პირმშოთათვის და ბოლოს, ყველასათვის, ვისაც წილი ექნება ახალ შემოქმედებაში. ამ დროს არანაირი მნიშვნელობა აღარ ექნება კაცისა და ქალის ბიოლოგიურ ყოფიერებას, ვინაიდან, იესოს ერთი სიტყვით, მკვდრეთით აღმდგარნი თავიანთი სულიერი სხეულით უსქესოები გახდებიან ანუ იქნებიან „როგორც ანგელოზები ცაში“ (მარკ. 12, 25).

„ღვთის ხატი“ - პიროვნულობა და საზოგადოება

ღმერთი არის ერთი ღმერთი სამ პიროვნებაში. თავისთავად ღმერთი ყოველთვის „მე“-სა და „შენ“-ის პირისპირია. ღმერთი თავისთავად მარტო არ არის, არამედ ყოველთვის სამი ღვთიური პიროვნების ერთობას წარმოადგენს - მამის, ძისა და სულიწმიდის. „სამი სახელი თავისი ყოფიერებით ერთმანეთისგან განსხვავებულ ღვთიურ პიროვნებებს აღნიშნავს. სინამდვილეში მამა არ არის იგივე, რაც ძე, და ძე არ არის იგივე, რაც მამა; სულიწმიდა არ არის იგივე, რაც მამა და ძე: ვინაიდან მამა არის მშობელი, ძე -შობილი, სულიწმიდა კი - წარმოშობილი ორივე მათგანისგან“ (კატ. 3. 2. 4). მაშასადამე, სამერთი ღმერთი თავისთავად დინამიურია, კერძოდ, მშობელი, შობილი და წარმოშობილი. ღმერთის ეს დინამიური ყოფიერება „ღვთის ხატში“, კაცსა და ქალში, აისახება. მაშასადამე, ღმერთის პიროვნულობა ადამიანის პიროვნულობის სათავე და გარანტია.

- ღმერთი არა მარტო თავის თავშია კომუნიკაბელური, არამედ გარეგნულადაც. სხვათა შორის, ეს იმაშიც ვლინდება, რომ რეალობას იგი თავისი სიტყვის მეშვეობით ქმნის. ღმერთი სინამდვილის კონსტატაციას სამეტყველო ენის მეშვეობით ახდენს, როგორც ეს შესაქმეს შესახებ პირველ ცნობაშია ახსნილი. ღმერთი არა მხოლოდ ის არის, ვინც რეალობას სამეტყველო ენის მეშვეობით ქმნის, არამედ ისიც, ვინც თავის ქმნილებას ელაპარაკება. შესაქმეს შესახებ ორივე ცნობაში ღმერთი ელაპარაკება ადამიანს. ის თავის ხატს ეუბნება: „ყველა ხის ნაყოფი გეჭმევა ამ ბაღში“ (დაბ. 2, 16). ამ გასაუბრებით ღმერთი ადამიანის პირისპირი („მსგავსი“) ხდება, ხოლო ადამიანი - ღმერთის. ღმერთის „მე“, მის მიერ „შენ“-ობით მიმართვა, ადამიანის პიროვნულობას ადასტურებს. მაშასადამე, პიროვნულობა თავად ადამიანში კი არ არის დაფუძნებული, არამედ, უპ. ყოვლისა, ღმერთში. ამიტომაც კატეხიზმოში ნათქვამია: „პიროვნებად ადამიანმა თავისი თავი ღვთაებრივი მიმართვის მოსმენისას აღიქვა - მიმართა რა ღმერთმა მას “შენ“-ობით, ადამიანი „მე“ გახდა“ (კატ. 3. 3. 2).

- ადამიანი ადამიანური ურთიერთობებისკენ არის მიდრეკილი, ამიტომაც შეუქმნა მას ღმერთმა „შესაფერისი შემწე“ (დაბ. 2, 18). ის, რომ ქალი კაცის შემწეა, არ გულისხმობს იმას, რომ მან მას ცხოვრება უნდა გაუადვილოს, შრომისგან გაათავისუფლოს, არამედ მიუთითებს იმაზე, რომ კაცი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ადამიანი, თუ მას პირისპირი ეყოლება, ის, ვისაც დაელაპარაკება. „მე“ და „შენ“ რეალობად მხოლოდ მაშინ იქცევა, როცა ადამიანი ადამიანის პირისპირ აღმოჩნდება, კაცი ქალის პირისპირ. პიროვნულობისა და ინდივიდუალობის არსებითი საფუძველი სწორედ ამ შეხვედრაშია. თუ ქალი კაცს „შეეფერება“, მაშინ კაციც „შეეფერება“ ქალს, რისი შედეგიც ის არის, რომ მათ ერთნაირად სჭირდებათ ერთმანეთი და იდენტურ არსსა და იდენტურ ღირსებას ატარებენ.

- თუ ადამიანი ურთიერთობებისკენ არის მიდრეკილი და მისი პიროვნულობა პირდაპირ კავშირშია ამასთან, მაშინ ეს არა მარტო კაცისა და ქალის ურთიერთობას ეხება, არამედ ადამიანთა ურთიერთობას საერთოდ. იურგენ მოლტმანი აქ სწორედ ამ საკითხს ეხება: „ასეთ შემთხვევაში ცალკეული ინდივიდი და მარტოხელა სუბიექტი ადამიანური ყოფიერების არასრულყოფილ არსებებს წარმოადგენენ,

ვინაიდან ღვთისხატობას ვერ მიაღწევენ ისინი. პიროვნებას საზოგადოების წინაშე არანაირი პრიორიტეტი არ გააჩნია. უფრო მეტიც, პიროვნება და საზოგადოება ცხოვრების ერთი და იგივე პროცესის ორი მხარეა.“ სწორედ ამის საფუძველზე იქმნება პარტნიორობა, ოჯახები, კლანები, ერები და საზოგადოებები, რომლებიც შეხვედრებისა და კომუნიკაციების მეშვეობით ყალიბდებიან.

„ღვთის ხატი“ – „ბატონობის“ დავალება

„პიროვნულობასთან“ ერთად კატეხიზმოში კიდევ რამოდენიმე გამორჩეული „ღვთიური თვისებაა“ ნახსენები, რომლებიც ადამიანს, როგორც ღვთის ხატს, მიენიჭა, მათ შორის არის სიყვარული, თავისუფლება და გონიერება (კატ. 3. 3. 2). მაშასადამე, კაცსა და ქალს ემოციური და ინტელექტუალური თვისებები გააჩნია, რომლებიც მას მასზე დაკისრებული დავალების შესრულების უნარს აძლევს: იბატონონ ქმნილებებზე და იყვნენ ღმერთის წარმომადგენლები შემოქმედებაში. „ბატონობის“ დავალება ადამიანს არ აძლევს იმის უფლებას, რომ „თვითნებურად მოეპყრას შემოქმედებას. უფრო მეტიც, აკისრებს მას [...] ისე მოექცეს შემოქმედებას, როგორც ღვთიურ არსებას შეეფერება: ბრძნულად, სიკეთით და სიყვარულით“ (კატ. 3. 3. 2). თვითნებობა, დესპოტიზმი და საკუთარი ინტერესების აბსოლუტიზაცია ოდითგანვე ეწინააღმდეგება ღვთიურ ნებას.

კატეხიზმოში ხაზგასმით არის მითითებული იმაზე, რომ კაცმა და ქალმა ერთი და იგივე დავალება მიიღო: „იბატონოს“ „მთელ ქვეყანაზე“, კერძოდ, გაანაშენიანოს და შეინარჩუნოს იგი (კატ. 3. 3.2). ე. ი., კაცისა და ქალის „ბატონობა“ სუბსტანციურად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, მაშასადამე, თვითეულ მათგანს საკუთარი და მხოლოდ მისი კუთვნილი „ბატონობის სფერო“ არ გააჩნია, როგორც ამას გენდერული როლების ტრდიციული გაგება გვთავაზობს. ისე არ არის, რომ საქმიანობისა და ფორმირების სფერო მამაკაცისათვის ფართო სამყარო იყოს, ხოლო ქალისათვის ეს სამყარო მხოლოდ სახლით, პროფესიითა და ოჯახით შემოიფარგლებოდეს. ამქვეყნიური შემოქმედება, როგორც ერთი მთლიანი, ორივე სქესის წარმომადგენელს პოტენციურად ერთნაირად აქვს მინდობილი. მისი შენახვა და ფორმირება მხოლოდ ორივეს ერთად შეუძლია. ამიტომაც შეუძლებელია, რომ „ბატონობის“ ღვთიური დავალება თვითეულმა ცალ-ცალკე შეასრულოს, უფრო მეტიც, ეს მარტო ერთობითა და სოლიდარობით მიიღწევა.

შენახვა და ფორმირება თავის კონკრეტულ გამოხატულებას ორივე სქესის წარმომადგენლის თანაცხოვრებაში პოულობს ანდა ბავშვების აღზრდაში. ოჯახურ ცხოვრებას კაციც და ქალიც ერთნაირად აყალიბებს და ეწევა. გარდა ამისა, ამქვეყნიური შემოქმედების შენახვისა და ფორმირების დავალებაში შედის ისიც, რომ კაცი და ქალი ერთად ატარებს პასუხისმგებლობას სახელმწიფოს, ეკლესიისა და საზოგადოების წინაშე. უარისთქმა საზოგადოებრივი რეალობის აღქმაზე, მასთან გამკლავებაზე და მასში თანამონაწილეობაზე, ეწინააღმდეგება შემოქმედებასთან დაკავშირებულ დავალებას, ასევე მოყვასის სიყვარულის მცნებას, რომელიც ყველა ადამიანს ეხება. დაბოლოს, კაცი და ქალი ერთნაირად არიან მოწოდებულნი, კარგად გააცნობიერონ მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობა შემოქმედების შენახვასთან მიმართებაში, რომელსაც ცხოველები და მცენარეებიც განეკუთვნება, და შესაბამისად მოიქცნენ.

დასკვნა

- კაცი და ქალი ერთნაირად წარმოადგენს ღვთის ხატს.
- კაცსა და ქალს ერთნაირად სჭირდებათ ერთმანეთი და იდენტურ არსსა და იდენტურ ღირსებას ატარებენ.
- კაცი და ქალი „ბატონობისკენ“ არიან მოწოდებულნი. ორივე სქესის წარმომადგენელს ეხება როგორც შემოქმედების შენახვა და ფორმირება, ასევე მასზე პასუხისმგებლობა.
- შემოქმედების ბიბლიური ცნობებიდან გამომდინარე, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავასკვნათ, რომ კაცსა და ქალს „ბატონობისა“ და საქმიანობის სხვადასხვა სფერო განეკუთვნება.
- კაცისა და ქალის დავალებების გაგება განსხვავებულია, ვინაიდან მათში ადამიანთა საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური მოვლენების განვითარებაც აისახება. .

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი

ქრისტე - ჩვენი მომავალი

„ყველა თქვენი საზრუნავი მას მიანდეთ, რადგან ის ზრუნავს თქვენზე.“

1. პეტ. 5, 7

New Apostolic Church
International